საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 20 00361573

04/05/2020

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ 2020 წლის 20 მარტის N43 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N43 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 20 მარტს.”

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 04 მაისის MES 7 20 00361358 სხდომის ოქმის N01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კიკნაძე ნიკოლოზ